

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავების აუცილებლობა გამოიწვია იმ ფაქტ რომ სამოქალაქო კოდექსის დღეს მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს გარდაცვლილ გამოცხადებული პირის კუთვნილი და უმკვიდრო ქონების გადასვლას ხაზინა ალსანიშნაეია, რომ 1995 წლამდე, სანამ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სიტემაში შეიქმნებოდა სახაზინო სამსახური, ტერმინს „ხაზინა“ კჭონდა სხ დატვირთვა და იგი გამოიყენებოდა როგორც სახელმწიფო ქონების მფლობელ სინონიმი. დღეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური (სახაზინ დეპარტამენტი) „უზრუნველყოფს სახელმწიფო, აფხაზეთისა დ აჭარის ავტონომოურ რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებზე შემოსულობათა აღრიცხვას, ანგარიშგებასა და ანგარიშსწორებას, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულებას, მისი შემოსულობების და სხვ სახელმწიფო ფინანსური რესურსების ოპერატიულ მართვას, აღრიცხვას დ ანგარიშგებას“. აღნიშნული მოიაზრებს ფულადი რესურსების როგორც ეროვნულ, ის უცხოურ ვალუტაში აღრიცხვას, ანგარიშგებას და ხარჯვას. შესაბამისად, ხაზინ უფლებამოსილი არ არის ფლობდეს სახელმწიფო ქონებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხაზინაზე უმკვიდრო ქონების გადასვლი საკითხი. სამოქალაქო კოდექსის 1444-ე მუხლის თანახმად, ხაზინას არა აქვს უფლებ უარი თქვას სამკვიდროს მიღებაზე. რეალურად, ამ შემთხვევაში ხაზინა მოიაზრებ როგორც სახელმწიფო ქონების მფლობელი და არა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, რომელიც ახორციელებს სრულიად განსხვავებული და სპეციფიკურ ხასიათის ფუნქციებს.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, „სახელმწიფო სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. სახელმწიფოს უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (სამინისტროები, სახელმწიფო დეპარტამენტები და ა. შ.) ისე, რომ ისინი არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს“. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უმკვიდრო ქონებასთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების ზოგადად სახელმწიფოსათვის დაკისრება, რომელიც, თავის მხრივ, უმკვიდრო ქონების სახეობიდან გამოძინარე, აღმასრულებელი ხლის-უფლების შესაბამისი დაწესებულებების მეშვეობით მოახდენს უმკვიდრო ქონებაზე თავისი ფუნქციების განხორციელებას.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხახსრების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.